ცხადდება კონკურსი

მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალისთვის ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში მობილობის სტიპენდიების მოსაპოვებლად **IES de Teis** (გალიციის რეგიონული მთავრობა, ესპანეთის სამეფო)

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალს.***

<u>მობილობის პერიოდი:</u>

- 2024 წლის გაზაფხულის სემესტრი

<u>ნომინანტთა შესარჩევი პროცესი:</u>

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

<u>სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:</u>

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. **CV ინგლისურ** ენაზე
4. რეკომენდაცია ინგლისურ ენაზე;
5. შევსებული სამუშაო გეგმა ინგლისურ ენაზე, დანართი 1;
6. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი **(pre-acceptance)** (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის მიერ).

გაცვლითი პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებულმა აკადემიურმა/ადმინისტრაციულმა პერსონალმა სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (pdf ფორმატში) უნდა გამოგზავნოს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: outgoingmobility@tsu.ge, **2024 წლის 18 იანვრის 14 საათამდე!**

<u>დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:</u>

კონკურსის ორგანიზების საფუძველი და შერჩევის წესი

<u>თსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის პერსონალის შერჩევის წესის დამტკიცების თაობაზე (N 8/04)</u>

<u>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის პერსონალის შერჩევის წესი (დანართი N1).</u>

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე <u>outgoingmobility@tsu.ge</u>